ირინა არაბიძე
ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის
ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების
მეცნიერი თანამშრომელი

დავით სარაჯიშვილის ბიოგრაფიიდან რამდენიმე ცნობის დაზუსტებისთვის (დაბადების 170 წლისთავთან დაკავშირებით)

ქართველი საზოგადო მოღვაწე, მრეწველი, ქველმოქმედი დავით სარაჯიშვილი 1848 წლის 23 ნოემბერს (ძვ. სტ.) ტფილისში დაიბადა. დაწყებითი განათლება ჯერ სახლში, შემდეგ კერძო პანსიონში მიიღო. 1866 წელს წარჩინებით დაამთავრა ტფილისის კლასიკური გიმნაზია, სადაც, მისივე თქმით, განსაკუთრებით კარგად ენებსა და ლიტერატურას დაეუფლა [1, 144].

დავით სარაჯიშვილი ერთი წლის განმავლობაში სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე, 1867-1878 წლებში – გერმანიის სხვადასხვა სასწავლებელსა და უნივერსიტეტში, 1878-1880 წლებში კი – საფრანგეთში [1, 144; 2; 3, 3-5]. მისი მოღვაწეობის პერიოდს არც ისე ხანგრძლივი დრო გვაშორებს, მაგრამ ამ დიდი ქართველის ბიოგრაფიის დეტალები მაინც დაუზუსტებელია. სხვადასხვა ავტორი მის მიერ სამეცნიერო ხარისხის დაცვას გერმანიის სხვადასხვა უნივერსიტეტს – ჰაიდელბერგი, მიუნხენი, ჰალეს საბუნებისმეტყველო აკადემია – უკავშირებს და მოპოვებულ სამეცნიერო ხარისხსაც სხვადასხვაგვარს აღნიშნავს – ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ქიმიის დოქტორი და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ქიმიის დოქტორი და ფილოსოფიის მაგისტრი [3, 3; 4, 45-46, 90; 5, 1; 6, 11; 7, 42-43; 8, 171; 9, 39; 10, 33; 11, 164-165; 12, 22; 13, 237; 14, 239; 15, 254].

დავით სარაჯიშვილის ბიოგრაფიის რამდენიმე ბუნდოვანი საკითხის გარკვევაში დაგვეხმარა გერმანიაში, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის არქივში, ხარისხის მინიჭების აქტებში დაცული მასალა. იქ ინახება ლათინურ ენაზე დაწერილი კალენდარული ავტობიოგრაფია (CV), დოქტორის ხარისხის მოსაპოვებელად გამოცდაზე დაშვების თხოვნა (გერმანულ ენაზე), ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანის მიერ გამოცდაზე პროფესორების მიწვევისა და მათ მიერ თანხმობის გამოცხადების ფურცელი, გამოცდის ოქმი ანუ პროფესორთა მიერ გაკეთებული შეფასებები და დიპლომის სააქტო ეგზემპლარი (ლათინურ ენაზე შესრულებული. ეს არის იგივე საარქივო ეგზემპლარი, დედნის ასლი, დაბეჭდილი მისი შინაარსისა და ფორმის დაცვით, მაგრამ გაცილებით თხელ და მცირეფორმატიან ფურცელზე, ბეჭდისა და ხელმოწერების გარეშე) [1, 142რ-146ვ]. უახლოეს მომავალში აღნიშნული დოკუმენტების გამოქვეყნებას თარგმანითა და კომენტარებით ვგეგმავთ. ახლად გამოვლენილმა მასალამ, მართალია, ზოგიერთ საკითხს ნათელი მოჰფინა, მაგრამ ეჭვქვეშ დააყენა დავით სარაჯიშვილის დაბადების თვე და რიცხვი – 28 ოქტომბერი (ძვ. სტ.), რომელსაც აქამდე მისი ყველა მეისტორიე ასახელებდა [2; 3, 3; 4, 38; 5, 1; 6, 3; 9, 39]. ამ მხრივ წარმოებული კვლევის შესახებ დაგეგმილ სტატიაში ვისაუბრებთ.

ამჯერად შევეცდებით, დავით სარაჯიშვილის სამეცნიერო ხარისხთან დაკავშირებული უზუსტობები გავარკვიოთ. მისი მოღვაწეობის ძირითად ასპექტებს

მხოლოდ მოკლედ მიმოვიხილავთ.

დოქტორის ხარისხის მოსაპოვებელ გამოცდაზე დასაშვებად დავით სარაჯიშვილმა 1871 წელს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტს მიმართა. ქიმიის ფაკულტეტი დამოუკიდებლად იქ ჯერ ჩამოყალიბებული არ იყო (ცნობისათვის, ჰაიდელბერგის რუპერტ-კარლის სახელობის უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტს მათემატიკური და საბუნებისმეტყველო განხრა 1890 წელს გამოეყო).

იმ დროს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში მოქმედი, 1867 წელს შემუშავებული რეგულაციების მიხედვით, წერითი ნაშრომის დაცვა აუცილებლობას არ წარმოადგენდა, მისი ტოლფასი ორსაათიანი ზეპირი მკაცრი გამოცდის ჩაბარება იყო. დოქტორანტს, თავისი მიმართულების მიხედვით, საგამოცდო საგნები თვითონ უნდა დაესახელებინა. დავით სარაჯიშვილს ზემოაღნიშნულ თხოვნაში უმთავრეს ანუ ძირითად საგნად ქიმია აქვს დასახელებული, დამატებით საგნებად კი _ ფიზიკა და მინერალოგია. 1871 წლის 10 მარტს მან აღნიშნული გამოცდები წარმატებით ჩააბარა და ფილოსოფიის დოქტორისა და თავისუფალ ხელოვნებათა მაგისტრის კვალიფიკაცია მიენიჭა [1, 143, 146რ; 16, 67; 17].

გამოცდის შემაჯამებელი შედეგი – „Insigni cum laude“ („შესანიშნავი/აღსანიშნავი წარმატებით“) – მითითებულია დიპლომში, რომელიც იმ დროს ლათინურ ენაზე ივსებოდა. სადოქტორო გამოცდის ოთხსაფეხურიანი შეფასების სისტემაში ამ შედეგზე უფრო მაღალი არის მხოლოდ „Summa cum laude“ („უმაღლესი წარმატებით“) [16, 67(7)].

ხარისხის მოპოვება დისერტაციის დაცვით რომ მომხდარიყო, ნაშრომის სათაური დიპლომში და ხარისხის მინიჭების აქტებშიც აუცილებლად დაფიქსირდებოდა. დავით სარაჯიშვილის დიპლომში, კერძოდ, ეს მითითებული უნდა ყოფილიყო იქ, სადაც გამოცდის შემაჯამებელი შედეგია აღნიშნული. ფილოსოფიის ფაკულტეტზე მოპოვებული უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი ქიმიის დოქტორის წოდებას გულისხმობდა, რადგან ქიმია გამოცდებზე „განსაკუთრებულ/უმთავრეს“ საგნად იყო დასახელებული. ეს დიპლომშიც აღნიშნულია [1, 143; 17].

დავით სარაჯიშვილისათვის ფილოსოფიის დოქტორისა და თავისუფალ ხელოვნებათა მაგისტრის ხარისხის მინიჭების დიპლომის დედანი საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის არქივშია დაცული [17]. ახლადგამოვლენილ მასალასთან ერთად მომავალში დიპლომის თარგმანის გამოქვეყნებასაც ვაპირებთ.

ამრიგად, დიპლომისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის არქივში ახლად გამოვლენილი მასალის მიხედვით, დავით სარაჯიშვილმა ფილოსოფიის დოქტორისა და თავისუფალ ხელოვნებათა მაგისტრის ხარისხი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე დაიცვა ქიმიის „განსაკუთრებულ/უმთავრეს“ საგნად აღიარებით, რაც ქიმიის დოქტორის წოდებასაც გულისხმობდა. ამავე მასალიდან ცნობილი გახდა, რომ მან დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად სამი ზეპირი მკაცრი გამოცდა „შესანიშნავი/აღსანიშნავი წარმატებით“ ჩააბარა [1, 143რ, 146რ; 16, 67(7); 17].

* * *

საზღვარგარეთ სწავლის პერიოდში დავით სარაჯიშვილი ქართველი სტუდენტების მიერ 1873 წელს შვეიცარიის ქ. ციურიხში დაარსებული საზოგადოება „უღლის“ წევრებს დაუკავშირდა. ისინი ეროვნული ჩაგვრისაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის იღვწოდნენ და მიზნის მიღწევის საშუალებად ხალხში განათლების გავრცელებას თვლიდნენ. „უღლის“ ჯგუფთან კავშირი, როგორც

ალექსანდრე სიგუა აღნიშნავს, დავით სარაჯიშვილის მისწრაფებების მრავალმხრივობაზე მიუთითებს, ისეთ მიმართულებაზე გვიქმნის წარმოდგენას, რომელზეც მისი ბიოგრაფიიდან ცნობები ჯერ კიდევ არ გვაქვს [12, 3, 19-21].

დავით სარაჯიშვილის პრაქტიკული მოღვაწეობიდან ნათელია, რომ იგი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ძლიერების ერთ-ერთ წინაპირობად განათლებასთან ერთად სამამულო მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებას მიიჩნევდა. 1871-1878 წლებში დავით სარაჯიშვილი სოფლის მეურნეობის მეცნიერებებს ისევ გერმანიაში – ჰოენჰაიმის უნივერსიტეტსა და ჰალეს საბუნებისმეტყველო აკადემიაში სწავლობდა. 1878-1880 წლებში კი საფრანგეთში მეღვინეობას, განსაკუთრებით ღრმად კონიაკისა და მაგარი სასმელების წარმოების ტექნოლოგიებს, ეცნობოდა. მას უკვე განზრახული ჰქონდა თავის ქვეყანაში ალკოჰოლური სასმელების წარმოების განვითარება და აღნიშნულ საკითხს არა მარტო ეკონომიკურ, არამედ ეროვნულ მნიშვნელობასაც ანიჭებდა.

საქართველოში ღვინისა და არყის დამზადება მამაპაპური წესით, ოჯახებში ოდითგან ხდებოდა. არქეოლოგიური გათხრებითაც დასტურდება, რომ მეღვინეობის აკვანი სწორედ საქართველოა. მიუხედავად ამისა, ფართო მოხმარებისათვის ალკოჰოლური სასმელების წარმოება სპეციალურ განათლებასა და შესაძლებლობებს მოითხოვდა, რაც ჩვენს ქვეყანაში განვითარებული ჯერ კიდევ არ იყო. აღნიშნულ სფეროში პირველი მექანიზებული საწარმოები XIX საუკუნის 40-იანი წლების დამდეგიდან გამოჩნდა, მაგრამ არაპერსპექტიულობის გამო მალევე შეწყვიტეს ფუნქციონირება. იმავე საუკუნის 60-იან წლებში რუსეთის იმპერიის მასშტაბით გატარებულმა რეფორმებმა საქართველოში მრეწველობის წინსვლა განაპირობა. 90-იანი წლებისათვის ტფილისში საწარმოების ძირითადი ნაწილი უკვე მექანიზებული იყო [18, 146].

ევროპაში მიღებული ცოდნა სამშობლოში დაბრუნებულმა დავით სარაჯიშვილმა წარმატებით გამოიყენა. 3-4 წლის განმავლობაში ის ალკოჰოლური სასმელების წარმოების ადგილობრივ პირობებს ეცნობოდა და თავისი საქმიანობისათვის ნიადაგს ამზადებდა. 1884-1885 წლებში დავით სარაჯიშვილმა მშობლიურ ქალაქში სპირტის ქარხანა გახსნა და აამუშავა. 1886 წელს მან მთელ კავკასიაში პირველი სარექტიფიკაციო ქარხანა, ხოლო 1887 წელს ლიქიორის ქარხანა აამოქმედა. მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით პირველი – სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანა 1888 წელს ჩადგა მწყობრში. კონსულტაციებისათვის მას ლიქიორისა და კონიაკის წარმოების ფრანგი სპეციალისტები ჰყავდა მოწვეული [7, 165; 4, 99-100, 102, 247].

უნდა აღინიშნოს, რომ დავით სარაჯიშვილამდე, 1865 წლიდან კონიაკს ქუთაისში გიორგი ბოლქვაძე (1835-1920) აწარმოებდა. გიორგი ბოლქვაძე – პარიზისა და ბრიუსელის აკადემიების წევრი, მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით ქარხნული კონიაკის პირველი მწარმოებელი იყო. არაყ-ლიქიორის ქარხანაში დამზადებულ მის კონიაკს და სხვა ალკოჰოლურ ნაწარმს მრავალი ჯილდო ჰქონდა დამსახურებული. მაგრამ გიორგი ბოლქვაძემ წარმოებას ისეთი ფართო მასშტაბები ვერ შესძინა, როგორც დავით სარაჯიშვილმა [2, 48; 4, 12].

დავით სარაჯიშვილი რუსეთის იმპერიაში პირველი კონიაკის ქარხნის ამშენებელი, ადგილობრივ პირობებთან შეხამებული კლასიკური ტექნოლოგიით მისი წარმოების დამფუძნებელი და სამრეწველო-კომერციული დანიშნულების მიმნიჭებელი გახლდათ. მან, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ალკოჰოლური სასმელების წარმოებას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა, მტკიცე საფუძველი შეუქმნა და მანამდე არნახული მასშტაბით გააფართოვა.

დავით სარაჯიშვილმა ასევე პირველმა დაიწყო ქართული კონიაკის მეცნიერული კვლევა, რის შედეგადაც ნაწარმის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა [19, 26; 4, 12, 104, 106, 119].

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში დავით სარაჯიშვილს ტფილისს გარდა ქარხნები ჰქონდა ვლადიკავკაზში, ყიზლარში, ერევანში, ბაქოში, ბესარაბიასა და სხვაგან. ისინი იმ დროისათვის საუკეთესო ფირმების – გენცის, ელენბერგის, პაუშქის, ფერბერის, ბორმანის, შვარცის, მიულერის, ფუგელზანგის მანქანა-დანადგარებით იყვნენ აღჭურვილი. ყოველივე პროგრესულის სწორად შემფასებელი მეწარმე – დავით სარაჯიშვილი – ტექნიკის განახლებაზე მუდმივად ზრუნავდა, სისტემატურად ეცნობოდა ევროპის მიღწევებს და წარმოებაში დაუყოვნებლივ ნერგავდა. წარმატების პირობებს თითოეული სასმელისათვის ჭურჭლის სწორად შერჩევაც ქმნიდა [2, 191-195; 4, 101]. 1902 წლისათვის მის ქარხნებში 571 ადამიანი იყო დასაქმებული და წლიურად 2 მლნ. მანეთის პროდუქცია იქმნებოდა. მუშების ხელფასი კი ჯამში 100 ათას მანეთს შეადგენდა [20, 2].

გასაღების ბაზრის გაფართოების კვალდაკვალ ფირმის საწყობები და მაღაზიები გაიხსნა ტფილისში, პეტერბურგში, მოსკოვში, სამარაში, ვარშავაში, ვილნიუსში, რიგაში, კიევში, ოდესაში, ფეოდოსიაში, ვლადიკავკაზში, პეტროვსკში (ახლანდელი მაჰაჩყალა), ჩარჯოუში (ახლანდელი თურქმენაბადი), ბაქოსა და სხვა ქალაქებში [4, 112, 120].

დავით სარაჯიშვილი გარდა თავის ქარხნებში წარმოებული სპირტისა აგენტების მიერ სხვადასხვა ადგილზე კერძო პირთაგან შეძენილ ხარისხიან საკონიაკე სპირტსაც იყენებდა [6, 20-21; 21, 33].

ფირმა საერთო ჯამში 14 ქარხანას აერთიანებდა (5 სარექტიფიკაციო, 7 კონიაკის, 1 არყის, 1 ლიქიორის) და 1901 წლისათვის დაახლოებით 60-65 სახის ალკოჰოლიან სასმელს აწარმოებდა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ნაწარმი ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე მინარევებისაგან გაწმენდილი იყო. ეს მაშინ, როცა რუსეთში ალკოჰოლური სასმელების წარმოების სტანდარტს საკმარისი ყურადღება არ ექცეოდა. იმპერიის მესვეურნი დაინტერესებულნი იყვნენ არყის წარმოების გადიდებით და მწარმოებლებიც, მეტი მოგების მიღების მიზნით, ხარისხზე არ ზრუნავდნენ. უხარისხო სასმელის მოხმარება ხშირად სავალალო შედეგს იწვევდა. დავით სარაჯიშვილმა პროდუქციის გადამუშავებით თავისი ნაწარმი სასარგებლო თვისებებით გაამდიდრა და ამით მომხმარებლის ჯანმრთელობა დაიცვა [2, 91; 4, 120, 123; 6, 15; 21, 64].

დავით სარაჯიშვილის ქარხნებში დამზადებულმა სასმელებმა რუსეთში ფრანგულ ფირმებს კონკურენცია გაუწია და მთელი იმპერიის მასშტაბით დიდი მოწონებით სარგებლობდა. მისი ნაწარმი წარმატებით იყიდებოდა ევროპისა და აზიის ზოგიერთ დიდ ქალაქში: ბერლინში, ჟენევაში, ვენაში, ლონდონში, თავრიზში, კონსტანტინოპოლსა და სხვაგან [2, 98; 4, 112].

სარაჯიშვილის ქარხნებში მუშები ეროვნების განურჩევლად იყვნენ დასაქმებული. ეს დიდი მეწარმე და მეცენატი სოციალური საკითხების გადაწყვეტაშიც პროგრესული აზროვნებით გამოირჩეოდა. მან მუშათა მიერ 9 საათიანი სამუშაო დღის მოთხოვნას 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღებით უპასუხა. მაშინ, როცა რუსეთის იმპერიაში იმ დროს სამუშაო დღე, საშუალოდ, 11,5 საათს გრძელდებოდა. 1905 წელს დავით სარაჯიშვილმა სრულად დააკმაყოფილა თავისი ფირმის მშრომელთა მიერ წამოყენებული 21 პუნქტიანი მოთხოვნა [4, 249-251; 12, 7, 9].

დავით სარაჯიშვილი ქარხნებში დასაქმებულთათვის ყოველგვარი პირობების შექმნას ცდილობდა. ვლადიკავკაზში 75 დესეტინა ფართობზე განლაგებული ქარხნის

(განახლდა 1894 წელს) ტერიტორიაზე არსებობდა: საერთო საცხოვრებელი, სასადილო, სკვირაო სკოლა, ბიბლიოთეკა, სამკითხველო. მუშებს ჰქონდათ 2 კვირიანი შვებულება ხელფასის შენარჩუნებით, სოციალური დახმარების სალაროები, უფასო სამედიცინო მომსახურება, დაზღვევა უბედური შემთხვევების დროს. დიდი მეწარმე და ქველმოქმედი წერა-კითხვის მცოდნე მშრომელებს ხელფასს უმატებდა და თანამშრომელთა შვილების განათლებაზეც ზრუნავდა; მუშებს ყოველი დღესასწაულის წინ სამ-სამი ბოთლი კონიაკით აჯილდოებდა [21, 31; 22, 3; 4, 101; 6, 31].

და ბოლოს, თავის ქარხნებში მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე სიცოცხლეში განუხრელად მოამაგე დავით სარაჯიშვილმა, მათი კეთილდღეობისათვის ანდერძით 125 ათასი მანეთი გამოყო. როგორც გურამ ჩიმაკაძე აღნიშნავს, მსოფლიოში ალბათ ძნელია, მოიძებნოს ისეთი კაპიტალისტი, რომელმაც „მუშა თავისი ქონების მემკვიდრედ აღიარა“ (ანდერძის მე-11 და მე-12-ე პუნქტები) [4, 51, 199].

მრეწველობის სფეროში დავით სარაჯიშვილის წარმატებულ საქმიანობაზე, ღრმა ცოდნასა და ორგანიზატორულ უნარზე მეტყველებს მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში გამოფენებზე მისი ნაწარმის მიერ დამსახურებული 14 მედალი (მ. შ. ერთი – გარდაცვალების შემდეგ). 1902 წელს „სამშობლო ქვეყნის ვაჭრობისა და მრეწველობის საქმეში სასარგებლო მოღვაწეობისათვის“ დავით სარაჯიშვილს „კომერციის მრჩევლის“ წოდება მიენიჭა [23, 4; 24, 2-3; 2, 96; 3, 5; 4, 124; 6, 26].

ამ დიდი მოღვაწის თვისებათაგან მისივე თანამედროვენი ხაზს უსვამდნენ: კეთილშობილებას, პატიოსნებას, ერთგულებას, თავმდაბლობას, სიკეთეს, გულწრფელობას, მზრუნველობას, გულუხვობას, სტუმართმოყვარეობას, უწყინარობას, პატრიოტიზმს, შრომისმოყვარეობას, შორსმჭვრეტელობას, ზედამხედველობის უნარს, მომთხოვნელობას, სამართლიანობას, რასაც ემატებოდა განათლება და იმ საქმის ძირფესვიანი ცოდნა, რომლის საფუძვლის ჩაყრასა და განვითარებასაც მთელი სიცოცხლე მიუძღვნა. ის იყო „თავდადებისა და ერთგულების საუკეთესო მაგალითის“ მიმცემი. ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილი რუსუდანი მას „ზეადამიანად... კაცთმოყვარეობისა და კეთილშობილების მოციქულად“ მიიჩნევდა. აკაკი შანიძემ კი „თავისი დროის მოღვაწეთა უნარჩევესთაგანი“ უწოდა [4, 48-49, 53; 11, 166, 171; 13, 139].

სულიერი თვისებებით ამდენად შემკული და მრავალმხრივ განათლებული დავით სარაჯიშვილის გარეგნობაც მისი შინაგანი სამყაროს შესაფერი იყო. უნგრელი ფერმწერის, რუსეთის საიმპერატორო კარის მხატვრის – მიხაი ზიჩის მიერ შესრულებულ „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებში რუსთველის სახის პროტოტიპი დავით სარაჯიშვილია. როგორც გაზეთი „დროება“ 1882 წლის თებერვალში აღნიშნავდა, ამ დიდი პოემის სურათების ცოცხალი წარმოდგენის დროს მისგან განსახიერებულმა რუსთაველმა მნახველების დიდი მოწონება დაიმსახურა [25, 2; 4, 49].

დავით სარაჯიშვილი კავკასიაში ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი იყო და ფული მისთვის საქვეყნო საქმეების კეთების საშუალებას წარმოადგენდა. თვითონვე აღნიშნავდა: „ადამიანი კი არ უნდა იყოს ფულის მონა, არამედ ფული უნდა იყოს ადამიანის მსახური“. ყოველმხრივ სიკეთით დამუხტული, ეროვნებისა და სოციალური წარმოშობის მიუხედავად ეხმარებოდა გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს.

გერმანელი ქართველოლოგი არტურ ლაისტი (1852-1927) მის შესახებ წერდა: „მუშაობდა დაუღალავად, ყოველთვის ფიქრობდა იმ სასარგებლო საქმეებზე, რომელიც შეეძლო მოეტანა მას თავისი ხალხისათვის...“ [26; 4, 48, 50-51].

სამშობლოსა და ხალხისადმი დავით სარაჯიშვილის სიყვარული ახალგაზრდების სწავლა-განათლებაზე ზრუნვაშიც ვლინდებოდა. მან ქართველი

საზოგადო მოღვაწის – ნიკო ცხვედაძის ხელმძღვანელობით 1888 დააარსა კომიტეტი, რომელსაც ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა დაევალა. უმაღლეს სასწავლებლებში მათი სწავლის თანხებს დავით სარაჯიშვილის ფონდი იხდიდა [27, 4; 4, 144-145; 6, 44-46].

დიდი ქველმოქმედი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარებას. სწორედ დავით სარაჯიშვილის სახსრებით სწავლობდა ახალგაზრდა ფერმწერი გიგო გაბაშვილი XIX ს. 80-90-იან წლებში პეტერბურგისა და მიუნხენის სამხატვრო აკადემიებში და ეს უკანასკნელი 1897 წელს უმაღლესი ჯილდოთი დაამთავრა [4, 149; 28, 29]. დავით სარაჯიშვილის ერთერთი სტიპენდიანტი, შემდგომში წარმატებული ხელოვანი – მოსე თოიძე იხსენებდა, რომ ადამიანები, რომლებსაც დავით სარაჯიშვილი ეხმარებოდა, მას აღიქვამდნენ „როგორც სამშობლოს წარმომადგენელს, მშობელს“ [29].

დავით სარაჯიშვილზე, როგორც დიდ საზოგადო მოღვაწესა და ქველმოქმედზე მისი საქმიანობის სფეროების არასრული ჩამონათვალიც მეტყველებს. „არც ერთი საქვეყნო საქმე არ დაწყებულა 30 წლის განმავლობაში ისე, რომ დავით ზაქარიას ძეს თავისი წვლილი არ შეეტანოს, მატერიალური დახმარება არ გაეწიოს – გაზეთ-ჟურნალის, წიგნის გამოცემა, სცენის მოყვარულთა, მომღერალთა, მემუსიკეთა, და მეცნიერთა გამოზრდა. ეკლესიის და სკოლის გამშვენიერება, ღარიბ-უძლურთა გაკითხვა, უცხოელ და შინაურ მოღვაწეთა გამასპინძლება და მათი ერთმანეთთან დაახლოება“. მისი დიდი მონაწილეობით დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, ქართველი გლეხობის აღმდგენელი კომიტეტი, სამუსიკო სასწავლებელი, ქუთაისის თეატრი. არაერთი ქართული მელოდია და სიმღერა გადაურჩა დავიწყებას დავით სარაჯიშვილის მიერ დაფინანსებული კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილის ექსპედიციის წყალობით. დავით სარაჯიშვილი ყოველივეს „აკეთებდა არა სახელისათვის, არა თავმოყვარეობისათვის, არამედ სამშობლოსადმი ჭეშმარიტი, წრფელი სიყვარულით“ [30, 2; 31, 1]. ტფილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის – მომავალი ქართული უნივერსიტეტის შენობის, ასევე თეატრებისა და მუზეუმის მშენებლობისათვის მან თანხის დიდი ნაწილი გაიღო [4, 159-161; 13, 238].

1892 წლიდან საქართველოში მყოფი გერმანელი მწერალი და ჟურნალისტი არტურ ლაისტი რამდენიმე ხნის განმავლობაში დავით სარაჯიშვილის სახლში ცხოვრობდა და ძალიან კარგად იცნობდა მას, მის გარემოცვასა და მისწრაფებებს. ლაისტი გერმანიის მიმართ დავით სარაჯიშვილის განსაკუთრებულ სიყვარულზე მიუთითებდა: „ის იყო პოეტების, მეცნიერებისა და მხატვრების მეგობარი არა მარტო თავის სამშობლოში, არამედ ბერლინშიც. სადაც გამოჩენილ ადამიანებსა და მეცნიერებს შორის დიდი პატივისცემითა და გულითადი მეგობრობით სარგებლობდა... დავით ზაქარიას ძეს უყვარდა ეს პოეტებისა და მოაზროვნეთა ქვეყანა და მისი მეცნიერების მიღწევებით ცოდნას განუწყვეტლივ იმდიდრებდა. ისე იყო განმსჭვალული გერმანული კულტურით, რომ შეთვისებული ჰქონდა გერმანული ხასიათის საუკეთესო თვისებები. ის ასევე ქართული ხასიათის საუკეთესო თვისებებითაც იყო შემკული. იყო იშვიათი პატიოსნებისა და პირდაპირობის ადამიანი“ [26].

გერმანელ ნაცნობ-მეგობართა მრავალრიცხოვნება გერმანიაში დავით სარაჯიშვილის ხანგრძლივი ცხოვრებითა და შემდგომში ხშირი მიმოსვლით იყო განპირობებული. გერმანული მეცნიერებისა და კულტურისადმი პატივისცემას მის ცხოვრებაში ფართოდ წარმოდგენილი ურთიერთობები ადასტურებს. 1901 წლის შემოდგომისათვის ტფილისში დაგეგმილ კავკასიის სოფლის მეურნეობისა და

მრეწველობის გამოფენაზე დავით სარაჯიშვილმა თავისი ყოფილი ლექტორი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომისტი ადოლფ ვაგნერი (1835-1917) მოიპატიჟა. გამოფენა 1901 წლის 2 სექტემბერს გაიხსნა და დეკემბრის ბოლომდე გაგრძელდა. როგორც არაერთ საგაზეთო სტატიაშია აღნიშნული, სიმონ კლდიაშვილის არქიტექტურით იაკობ ნიკოლაძის მიერ შესრულებული დავით სარაჯიშვილის პავილიონი გამოფენაზე საუკეთესო იყო [32, 1; 33, 3; 33; 34, 2; 4, 123].

პროფესორი ვაგნერი ტფილისში 1901 წლის 15 სექტემბერს ჩამოვიდა. მას განზრახული ჰქონდა გამოფენის დათვალიერება, ტფილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობათა მონახულება. თავისი მეცნიერული მუშაობის ინტერესებიდან გამომდინარე, პროფესორი მიზნად აქაური ცხოვრების ახლოს გაცნობასაც ისახავდა [33, 2; 35, 2].

გაზეთი „ივერია“ 1903 წელს გვაუწყებს, რომ პროფესორმა ადოლფ ვაგნერმა დავით სარაჯიშვილს სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნა. „პატივცემულ ქართველ მეგობარს და წინანდელ მოწაფეს, საყვარელ და მასწავლებელ-თანამოგზაურს, სწორედ ძველებურ სტუმართმოყვარეს და აზრ-გონების აღმძვრელ პრაქტიკულ ამხანაგს სპეციალობაში, ბ-ნ დ[ოქტო]რ დავით სარაჯევს თფილისში, მადლობას უძღვნის ავტორი ადოლფ ვაგნერი“ – ასეთი სიტყვები აქვს წამძღვარებული პროფესორ ადოლფ ვაგნერს 1902 წელს იენაში გამოცემული წიგნისათვის – „Agrar- und Industriestaat. Die Kehrseite des Industriestaats und die Rechtfertigung agrarischen Zollsehutzes mit besonderer Rücksicht auf die Bevolkerungsfrage“ 2nd edn. Jena: Fischer. ავტორი აგრარული ქვეყნების მოსახლეობაზე ინდუსტრიალიზაციის გავლენის შესახებ წერს. წიგნში მეცნიერულად განხილული საკითხები საქართველოსთვისაც ძალიან აქტუალური იყო. პროფესორი ადოლფ ვაგნერი დავით სარაჯიშვილს წიგნის წინასიტყვაობაში ახასიათებს, როგორც „შესანიშნავ მცოდნე კაცს, როგორც მეურნეობისა, აგრედვე მრეწველობასა და ვაჭრობაშიაც“. იქვეა აღნიშნული წიგნთან დაკავშირებით დავით სარაჯიშვილის დამსახურება: „მან დამავალა იმით, რომ გადმომცა ჩემის აზრის დასასურათებლად ისეთი შესანიშნავი ცნობანი, რომელთაც გამიადვილეს გაცნობა სულ სხვა, ჯერ ჩემგან უცნობ ეკონომიურის და სოციალურის ცხოვრებისა და ეს ცხოვრება დაახლოვებითაც ნახე, როდესაც მას სამშობლოში სტუმრად ვეწვიეო“ [36, 3-4; 6, 32-33].

ადოლფ ვაგნერმა 1901 წელს ნაციონალ-სოციალისტებისა და მიუნხენში მოღვაწე ეკონომისტ პროფესორ ლუდვიგ ბრენტანოს მხრიდან კრიტიკის პასუხად 1901 წელს ნაჩქარევად გამოცემული თავისი ნაზერვი 1902 წელს გადაამუშავა. თავისი დასკვნების განმტკიცებაში პროფესორს დავით სარაჯიშვილის მიერ საქართველოში შეკრებილი და უანგაროდ გადაცემული მასალა დაეხმარა (პირველი, 1901 წლის გამოცემა 92 გვერდიანია; მეორე, 1902 წლის გამოცემა – 223 გვერდიანი). მან კი ამ მრავალმხრივი მოღვაწისადმი პატივისცემა წიგნის მიძღვნით და ზემოაღნიშნული დახასიათებით გამოხატა.

აღნიშვნის ღირსია წიგნებისადმი დავით სარაჯიშვილის დამოკიდებულება. მისი პირადი ბიბლიოთეკა 2309 წიგნისაგან შედგებოდა. აქ თავმოყრილი იყო როგორც მხატვრული, ასევე ეკონომიკის, პოლიტიკისა და მეცნიერების სხვა დარგების უახლესი ლიტერატურა. ქართველი პოლიტიკური მოღვაწის, შემდეგში დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას (1868-1953) გადმოცემით, დავით სარაჯიშვილს პერიოდული გამოცემები გერმანიიდან და ავსტრიიდანაც კი ჰქონდა გამოწერილი [4, 137-139].

დავით სარაჯიშვილმა თავისი ბიბლიოთეკის აღწერა ნოე ჟორდანიას მიანდო, რომელმაც 1912 წელს ბაქოში გამოსცა Домашняя библиотека Д. З. Сараджева в Тифлисе

[6, 48].

ეკონომისტ ადოლფ ვაგნერის ზემოაღნიშნული წიგნი (1901 წლის გამოცემა) ბიბლიოთეკის კატალოგში II განყოფილების – პოლიტიკა, პოლიტეკონომია, ფინანსები, სამართალი, სოციალიზმი, სოციოლოგია, სტატისტიკა – გერმანულენოვან ლიტერატურაში შეტანილია 267-ე ნომრად [37, 26].

დავით და ეკატერინე სარაჯიშვილების სურვილისამებრ მათი ბიბლიოთეკა, ეკატერინეს ძმამ – ადამ ფორაქიშვილმა ახლადგახსნილ ქართულ უნივერსიტეტს გადსცა [4, 162]. ვაგნერის დასახელებულ წიგნს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნთსაცავში ამჟამად ვერ მივაკვლიეთ. გერმანიის ბიბლიოთეკებში მისი ძველი გამოცემებიც დაცულია და თანამედროვე პერიოდშიც (2004, 2010, 2017 წლები) წიგნი რამდენჯერმე გამოიცა ისევ დავით სარაჯიშვილისადმი მიძღვნით. აქედან ჩანს აღნიშნული ნაშრომის მეცნიერული მნიშვნელობა.

მშობლიურთან ერთად გერმანიის, გერმანული კულტურისა და არქიტექტურის თაყვანისმცემელმა დავით სარაჯიშვილმა მამისეულ ნასახლარზე (დღეს თბილისი, მაჩაბლის ქუჩის №13) სახლის ასაშენებლად სპეციალურად გერმანიიდან მოიწვია არქიტექტორი კარლ ცაარი. მშენებლობას ხის ნაკეთობათა ოსტატი ილია მამაცაშვილი ხელმძღვანელობდა. სახლის ინტერიერის გაფორმება ხის დეტალებით სწორედ ამ სახელგანთქმული ოსტატის შესრულებულია. კარლ ცაარს ადგილობრივი არქიტექტორები ალექსანდრე ოზეროვი და კორნელი ტატიშევი ეხმარებოდნენ. ხელოვნებათმცოდნეების შეფასებით, სახლი მოდერნის სტილის არქიტექტურის ნიმუში, თბილისური და ევროპული არქიტექტურის შერწყმის შესანიშნავი მაგალითია. ვერანდის მოპირკეთებაში გამოყენებულია გერმანული „ვილეროი და ბოხის“ ფირმის კერამიკული ფილები, რომელიც მხოლოდ სპეციალური შეკვეთით მზადდებოდა [4, 78-82].

დავით სარაჯიშვილმა მშენებლობის დასრულება 1905 წელს თავისი ქორწინების 25 წლისთავს მიუძღვნა. სახლი საზოგადო მოღვაწეების, ლიტერატორების, მუსიკოსების, მხატვრების შეკრების ადგილად იქცა. აქ ხშირად სტუმრობდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ცხვედაძე, ალექსანდრე ცაგარელი, იონა მეუნარგია, გრიგოლ ყიფშიძე, იაკობ ნიკოლაძე, იაკობ მანსვეტაშვილი, გიგო გაბაშვილი, ვალერიან გუნია და სხვა ცნობილი ადამიანები, თბილისში ჩამოსული უცხოელი სტუმრები (1921 წლიდან სახლში მწერალთა კავშირი დაფუძნდა).

არტურ ლაისტი თავის მიერ თბილისში გამოცემულ გაზეთ „Kaukasishe Post“-ში დაბეჭდილ სტატიაში – „იშვიათი ნადიმი“, დავით სარაჯიშვილის ოჯახში ორი ფერეიდნელი ქართველისათვის გამართულ წვეულებაზე მოგვითხრობს. დავით სარაჯიშვილის მიერ ამ ორი ადამიანისადმი გამოხატულმა პატივისცემამ არტურ ლაისტის გაკვირვება გამოიწვია, რაც მან სტატიაში აღნიშნა. დავით სარაჯიშვილი არტურ ლაისტის იდეალი იყო [38; 4, 90-93].

დავით სარაჯიშვილს დაუღალავ მოღვაწეობაში მეუღლე და მეგობარი – ეკატერინე ფორაქიშვილი თანაუგრძნობდა. გერმანელი ექიმი შტოკმანი მათ ასე ახასიათებს: „რა მხრივ აიღებთ, რომ ერთი მეორის სწორი და ტოლი არ ყოფილიყო, პრაქტიკული საქმიანობით, გამჭრიახობით, დიდი საქმის უნარიანი მოვლით, იდეური ქველმოქმედებით, სამშობლო ქვეყნის განუსაზღვრელი და შეგნებული სიყვარულით. მამულიშვილობა და მოქალაქეობა, აი, რა იდეას ემსახურებოდნენ შეგნებით... უძეო იყვნენ, მაგრამ ვინ მოსთვლის, რამდენი სასარგებლო, ნიჭიერი წევრი აღუზარდეს სამშობლო ქვეყანას და მათგან დანატოვარი კიდევ რამდენ ასს სასარგებლო კაცს გაზრდის“ [11, 167].

დავით სარაჯიშვილი 1911 წელს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. გერმანიაში 1910 წელს გაკეთებულმა ოპერაციამ, როგორც ექიმებმა ეკატერინე ფორაქიშვილი წინასწარვე გააფრთხილეს, მხოლოდ ხანმოკლე შედეგი გამოიღო. 1910-1911 წლებში ბერლინში მკურნალობის დროს დავით სარაჯიშვილს გერმანელი მეგობრების ყურადღება და მზრუნველობა არ მოკლებია. ის მეუღლესთან და თანმხლებ პირებთან ერთად ოპერაციის შემდეგ ექიმ ლაცარიუსის კლინიკაში მისივე ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. ამ კლინიკაში ამავე დროს დავით სარაჯიშვილის ხარჯით საქართველოდან უფრო ადრე წასული ილიას მეუღლე – ოლღა გურამიშვილიც მკურნალობდა [40, 5].

დავით სარაჯიშვილმა გარდაცვალების შემდეგ თავისი ანდერძით კიდევ ერთხელ აღაფრთოვანა საზოგადოება. დიდი ქართველი მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის თქმით, მან „თავისი ანდერძით სიკვდილი დათრგუნა და ბრწყინვალე შარავანდედი შეიმოსა“. ანდერძით მრავალმილიონიანი ქონების უდიდესი ნაწილი ქართველი ერის საჭიროებებისა და თავისი ქარხნების მუშა-მოსამსახურეთათვის იყო განაწილებული.

დავით სარაჯიშვილის გარდაცვალებამ ბევრი დაამწუხრა. ეკატერინე ფორაქიშვილისადმი თანადგომა საქართველოს ყველა კუთხიდან გამოხატეს. უცხოეთიდან დეპეშები გამოგზავნეს ან გაზეთებში ინფორმაციები მოათავსეს: პროფესორმა ვაგნერმა, მისმა მეუღლემ – მართამ და შვილებმა, ასევე დოქტორმა ბეითემ, ექიმმა შტოკმანმა, არქიტექტორმა კარლ ცაარმა, რუჟენა იესენსკაიამ და სხვებმა [3, 204-205, 167-171, 179-181].

დავით სარაჯიშვილის საქმიანობა ეკატერინე ფორქიშვილმა გააგრძელა. ის 1916 წელს გარდაიცვალა და ქონების უდიდესი ნაწილი ანდერძით მანაც ქართულ საზოგადოებრივ და სასწავლო დაწესებულებებს, ეკლესია-მონასტრებს და სარაჯიშვილის ფირმის მუშა-მოსამსახურეებს დაუტოვა [39; 4, 202-213].

ქვეყნის ეს ღირსეული შვილები, დავით სარაჯიშვილის სურვილისამებრ, დიდუბის ეკლესიის ეზოში იყვნენ დასაფლავებული. საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების (1921 წ.) შემდეგ, 1939 წელს კომუნისტურმა ხელისუფლებამ ეს ადგილი დავით სარაჯიშვილისა და ეკატერინე ფორქიშვილისათვის, როგორც „კაპიტალისტებისთვის“, შეუფერებლად მიიჩნია და გადასვენების დადგენილება გამოიტანა. 1996 წელს კი, როცა საქართველოსა და ქართველი ერის წინაშე მათი ღვაწლის წარმოჩენა უკვე შესაძლებელი იყო, ვაკის სასაფლაოდან ისინი ქაშუეთის ეკლესიის ეზოში გადაასვენეს. აღნიშნული ტაძრის მშენებლობისათვის 1903-1910 წლებში თანხის დიდი ნაწილი სწორედ დავით სარაჯიშვილმა გაიღო.

„ის იყო პირველი ქართველი მრეწველი ევროპული ტიპისა... შეაერთეთ ქართველი გულკეთილობა და პურმარილი ევროპულ საქმიანობასთან და მიიღებთ დავით სარაჯიშვილს. ამ პიროვნებაში სამაგალითოდ შეზავდა საქები ქართველობა და საქები ევროპიელობა“ – წერდა ნოე ჟორდანია. ის იყო „პირველი ქართველი იდეური ქველმოქმედი... როცა თითოეული ჩვენგანი ისწავლის ევროპულ საქმიანობას და თან თავის ნაციონალურ ხასიათს არ დავკარგავთ – ჩვენი გაევროპიელობა ფაქტი იქნება. დავით სარაჯიშვილი ქართველი ევროპიელი იყო“ [4, 136; 41].

წინამდებარე სტატიაში ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის არქივში მიკვლეული დიდი ქართველი მოღვაწის, მრეწველისა და ქველმოქმედის, დავით სარაჯიშვილის საბუთების, ამავე უნივერსიტეტში 1867 წლიდან მოქმედი რეგულაციებისა და საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის არქივში დაცული დიპლომის დედნის საფუძველზე გავარკვიეთ დავით სარაჯიშვილის სამეცნიერო ხარისხთან დაკავშირებული უზუსტობები. მისი

მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები კი მოკლედ მიმოვიხილეთ.

აღნიშნული დოკუმენტების განხილვის შედეგად გამოირკვა შემდეგი: ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში 1871 წელს ქიმიის ფაკულტეტი დამოუკიდებელად ჯერ კიდევ არ არსებობდა, მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო განხრაში ხარისხს ფილოსოფიის ფაკულტეტზე იცავდნენ. დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციის დაცვა აუცილებელი არ იყო. მის ტოლფასს სამ საგანში ორსაათიანი მკაცრი სადოქტორო გამოცდის ჩაბარება წარმოადგენდა.

დავით სარაჯიშვილმა 1871 წელს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე მოქმედი წესდების მიხედვით სამ საგანში ჩატარებულ მკაცრ სადოქტორო გამოცდაზე დაიმსახურა შეფასება – „Insigni cum laude“ („შესანიშნავი/აღსანიშნავი წარმატებით“). შედეგად მას ფილოსოფიის დოქტორისა და თავისუფალ ხელოვნებათა მაგისტრის კვალიფიკაცია მიენიჭა. უმთავრეს საგნად ქიმიის ჩაბარების გამო, რაც დიპლომშიც აღნიშნულია, ეს ხარისხი ქიმიის დოქტორის ხარისხს გულისხმობდა. დავით სარაჯიშვილის ბიოგრაფიული ცნობების დაზუსტებას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან, ის იმ დიდ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა ცხოვრებაც ქვეყნის ისტორიის განუყოფელი ნაწილია [42, 6]. როგორც ფილიპე გოგიჩაიშვილი აღნიშნავდა, დავით სარაჯიშვილის ცხოვრებამ აშკარად გვაჩვენა, რომ „ქართველ ერში უნარი და პრაქტიკული შემოქმედების ნიჭი არ არის გამოლეული“ და გვაძლევს იმედს, რომ მომავალში მაინც შესაძლებელი გახდება იმ იდეალის განხორციელება, რისკენაც დავით სარაჯიშვილი მოგვიწოდებდა [29]. ის მართლაც ქართველების „სანატრელი გმირია“, როგორც საქმეში ერთგულმა თანამდგომმა და ბიძაშვილმა – ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილმა უწოდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის არქივი, UAH, H-IV-102/73.
2. ზაქარია ჭიჭინაძე, მრეწველობა, ვაჭრობა-ხელოსნობა საქართველოში. დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი, თბილისი, 1911.
3. დავით სარაჯიშვილის სახსოვრად I, თბილისი, 1911.
4. გივი ჩიმაკაძე, ცხოვრება და ღვაწლი დავით სარაჯიშვილისა, თბილისი, 2003.
5. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1909, აღწ. 2, საქმე 4.
6. არჩილ სტეფანიშვილი, დავით სარაჯიშვილი, თბილისი, 1968.
7. ლეილა ნანიტაშვილი, ერის წყლული აჩნდა წყლულად (გამოკვლევები, წერილები, პოლემიკა), თბილისი, 1993.
8. ირ. ტატიშვილი, თ. დეკანოსიძე, მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა, თბილისი, 1960.
9. გიორგი ბერიძე, თეიმურაზ ღლონტი, ქართველი მეღვინეები, თბილისი, 1974.
10. ლევან ბრეგაძე, მოგზაურობა „კაუკაზიშე პოსტის“ ფურცლებზე, თბილისი, 2010.
11. ც. თურქაძე, ქედს ვიხრით ღირსეული წინაპრის საერისკაცო ღვაწლის წინაშე, კრებულში: დავით სარაჯიშვილის საქველმოქმედო საზოგადოება, თბილისი, 1996.
12. ალექსანდრე სიგუა, იშვიათი ბუნების კაცი, თბილისი, 1985.
13. ტარიელ ზოზრაშვილი, დიდი ქართველები, ცხოვრების ქრონიკები, თბილისი, 2008.
14. ნათია მირიანაშვილი, მშობელი ხალხის სასიკეთოდ (მოგონებები დავით

სარაჯიშვილზე), კრებულში: საისტორიო მოამბე, №65-66, 1993-1994.
15. არჩილ კოხრეიძე, დავით სარაჯიშვილი – ქველმოქმედი, კრებულში: საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VII, 2004.
16. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის არქივი, UAH, H-IV-100/1.
17. საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის არქივი, ფონდი 573.
18. ნათელა როდონაია, თბილისის მრეწველობა XIX საუკუნის II ნახევარში (რეფორმის შემდგომი ხანა), თბილისი, 1961.
19. ავთანდილ იაშვილი, დავით სარაჯიშვილი და კონიაკის წარმოების ისტორია საქართველოში, თბილისი, 1993.
20. გაზეთი ცნობის ფურცელი, №1809, 15 მაისი, 1902.
21. მადლენა მირიანაშვილი, კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში, თბილისი, 1980.
22. გაზეთი „თბილისი“, №299, 25 დეკემბერი, 1968.
23. გაზეთი „ივერია“, №177, 18 აგვისტო, 1901.
24. გაზეთი „სახალხო გაზეთი“, №333, 22 ივნისი, 1911.
25. გაზეთი „დროება“, №39, 23 თებერვალი, 1882.
26. გაზეთი „Закавказъе“, №142, 1911.
27. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1909, აღწ. 2, საქმე 5.
28. მამია დუდუჩავა, გიგო გაბაშვილი (მონოგრაფია), 1953.
29. გაზეთი „სახალხო გაზეთი“, №337, 26 ივნისი, 1911.
30. გაზეთი „სახალხო გაზეთი”, №336, 25 ივნისი, 1911.
31. გაზეთი „თემი“, №25, 27 ივნისი 1911.
32. გაზეთი „ივერია“, №189, 2 სექტემბერი 1901.
33. გაზეთი „ივერია“, №194, 7 სექტემბერი, 1901.
34. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, №1662, 6 დეკემბერი 1901.
35. გაზეთი „ივერია“, №202, 18 სექტემბერი 1901.
36. გაზეთი „ივერია“, 28 მაისი 1903.
37. Домашняя библиотека Д. З. Сараджева в Тифлисе, Баку, 1912.
38. გაზეთი „Kaukasishe Post“, №52, თბილისი, 1907.
39. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ქარვასლის არქივი, შ – 1910/1, 2.
40. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1909, აღწ. 2, საქმე 24.
41. გაზეთი „კოოპერაცია“, №3, 10 ივლისი, 1911.
42. შალვა გოზალიშვილი, ილია ჭავჭავაძე და ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მეგობრები, თბილისი, 1973.

Irina Arabidze
Doctor of History, TSU, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Research Scientist of the Department of Modern and Contemporary History

For the Purpose of Clarifying some Biographical Details of David Sarajishvili (Regarding the 170 anniversary (1848-1911)

David Sarajishvili, a Georgian public figure, entrepreneur, and philanthropist, was born in Tbilisi on November 23, 1848. He received an extensive and high-quality education in his hometown and later at university of St Petersburg, then at universities in Germany and France.

This article aims to clarify certain ambiguous aspects of his biography by examining documents housed in the Heidelberg University Archive's Acts of Quality Assignment. Specifically, concerns the clarification of the academic degree awarded to David Sarajishvili. Biographers have presented varying information about this matter. The article also offers a concise overview of his achievements. Our research reveals that in 1871, Heidelberg University had no independent Faculty of Chemistry. Instead, the Faculty of Philosophy was responsible for awarding degrees in Mathematical and Natural Sciences, and – unlike modern requirements – no thesis was mandatory for earning a PhD.

In 1871, Sarajishvili passed a two-hour „strict doctoral examination" at the Faculty of Philosophy in three subjects, earning the distinction „Insigni cum laude" („Excellent / Notable Success"), as stated on his Latin diploma. Consequently, he was awarded the title Doctor of Philosophy and Master of Free Art, which, because he had declared chemistry as his primary subject, is equivalent to a Doctor of Chemistry.

Sarajishvili introduced the production of cognac using classic French methods to Georgia, elevating it to commercial importance of both economic and national significance. In 1888, he opened the first cognac factory in the entire Russian Empire – not just Georgia. Between 1889 and 1913, his beverages earned 14 medals at various exhibitions across Russia and Europe.

Sarajishvili contributed generously to many areas of public life: he funded the education of talented young people, provided allowances to the poor, financed the construction and renovation of churches and monasteries, theaters, and hospitals; sponsored newspapers and journals; supported archaeological expeditions; helped compile Georgian folk songs; and assisted in founding educational and agricultural societies, as well as promoting the theater. Respected both in Georgia and abroad (including in Germany, where he studied, and in other places where he conducted business), David Sarajishvili occupies a vital place in Georgian history. Clarifying details of his biography is particularly significant, as his life story forms part of our nation's historical narrative.